შ.პ.ს. “დიდგორი-2011” “Didgori-2011” Ltd
საქართველო, ქ. თბილისი, სოფელი დიღომი, ს/კ 404901111. ტელ.: 551147980
Village Dighomi, Tbilisi, Georgia, I/d: 404901111. Tel.: 551147980

ქ. თბილისი, სოფ. დიღომი, დავარის ქუჩა №45ა, ს/კ 01.72.14.037.036

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის

კონსტრუქციული ნაწილის (კორექტირებული)

საექსპერტო შეფასება

დირექტორი ნ. სილაგაძე

ქ. თბილისი 2022 წ.

ქ. თბილისი, სოფ. დიღომი, დავარის ქუჩა №45ა, ს/კ 01.72.14.037.036

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის

კონსტრუქციული ნაწილის (კორექტირებული)

საექსპერტო შეფასება

კორექტირება ითვალისწინებს “3”-“4” და “6”-“7” ღერძებს შორის , შენობაში შესასვლელის დიაფრაგმებთან რიგელების შეწყვეტას და მათ შორის ნაწილი რიგელის აწევას ერთი მეტრით და კარების თავზე ზღუდარად გადაქცევას . ცვლილება შეტანილია საანგარიშო მოდულში და შემოწმებულია .

ექსპერტიზის მიზანი: ქ. თბილისი, სოფ. დიღომი, დავარის ქუჩა №45ა, ს/კ 01.72.14.037.036 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის შესაბამისობა საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან და სტანდარტებთან.

საექსპერტოდ წარმოდგენილი მასალები:

1. არქიტექტურული-სამშენებლო ნაწილი;
2. სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევა;
3. პროექტის კონსტრუქციული ნაწილი;
4. შენობის კონსტრუქციული ანგარიში.

გაფრთხილება

გაცნობილი ვარ ექსპერტის უფლება-მოვალეობებს, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით.

ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ გაცნობილი ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლს.

ექსპერტი შემსრულებელი:

ინჟინერ-მშენებელი, კონსტრუქტორი ზაურ სილაგაძე, სპეციალობით მუშაობის უწყვეტი სტაჟი 45 წელი.

კვლევითი ნაწილი

საპროექტო შენობა გეგმაში მართკუთხა ფორმისაა, მაქსიმალური გაბარიტული ზომებით ღერძებში 48.1X17.7 (მ.).

შენობა 6 სართულიანია მიწის ზემოთ, 1 მიწისქვეშა სართულით სართულის სიმაღლეებია:

1. მიწისქვეშა სართული – 2.85 მეტრი;
2. I სართული – 3.05 მეტრი;
3. დანარჩენი სართულები – 3.05 მეტრი.

საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევის თანახმად, ტერიტორიაზე გავრცელებულია თიხოვანი გრუნტები, რომლოის საანგარიშო მაჩვენებლებია:

- ხვედრითი შეჭიდულობა – 0.1 კგძ/სმ^2;
- შინაგანი ხახუნის კუთხე – 21.22^0;
- დეფორმაციის მოდული - 890 ტ/მ^2;
- სიმკვრივე – 1.83 გ/სმ^3.

სამშენებლო მოედნის სეისმოაქტივობა 8 ბალი MSK64 შკალის მიხედვით.

საპროექტო შენობის კონსტრუქციული ელემენტებია:

საძირკველი – მონოლითური რკინა-ბეტონის ფილა, სისქით 80 სმ. ბეტონი B25, არმატურა A500C;

კოლონები – მონოლითური რკინაბეტონი განიკვეთით 50X50 სმ. ბეტონი B25, არმატურა A500C და A240;

რიგელები – მონოლითური რკინაბეტონი განიკვეთით 50X50 სმ; ბეტონი B25, არმატურა A500C და A240;

გადახურვის ფილები – მონოლითური რკინაბეტონი სისქით 20 სმ. ბეტონი B25, არმატურა A500C და A240;

პერიმეტრის კედლები და დიაფრაგმები - მონოლითური რკინაბეტონი სისქით 20 სმ. ბეტონი B25, არმატურა A500C და A240;

კიბეები – მონოლითური რკინა-ბეტონი, Z-ს ფორმის. ბეტონი B25, არმატურა A500C და A240;

კონსტრუქციული ანგარიში შესრულებულია პროგრამა LIRA-SAPR-2017-ის გამოყენებით პნ.01.01-09 “სეისმომედეგი მშენებლობა” მოთხოვნათა სრული გათვალისწინებით. შედეგები თან ერთვის პროექტს.

მუშა ნახაზები შესრულებულია ანგარიშისა და არქიტექტურულ-მოცულობითი ნახაზების სრული თანხვედრით, დეტალურად. სპეციფიკაციებისა და მასალების ამოკრეფით.

დასკვნა

ექსპერტი დადებით შეფასებას აძლევს წარმოდგენილ პროექტს და რეკომენდაციას უწევს მშენებლობის ნებართვას მისაღებად და განსახორციელებლად.

კონსტრუქტორი  ზ. სილაგაძე

გამოყენებული ლიტერატურა

1. პნ 01.01-09 სეისმომედეგი მშენებლობა;
2. პნ 02.01-08 შენობებისა და ნაგებობების ფუძეები;
3. პნ 03.01-09 ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები.